საქართველო

სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებლის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 37 1185

19/09/2016

**ქალაქ სამტრედიაში, ლაშა თევზაძის ქუჩაზე მდებარე არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.48.062) არსებული ნაგებობის (ყოფილი მაღაზია, ფართი - 153,16 კვ.მ) პრივატიზების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54–ე მუხლის პირველი ნაწილის „დ"–ქვეპუნქტის „დ.ა"–ქვეპუნქტის, „ე"–ქვეპუნქტის „ე.ე"–ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებისა და „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის განსაზღვრისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ" სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 23 თებერვლის №38 23 განკარგულების მიხედვით,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

**1.1.** ქალაქ სამტრედიაში, ლაშა თევზაძის ქუჩაზე მდებარე არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.48.062) არსებული ნაგებობა (ყოფილი მაღაზია, ფართი - 153,16 კვ.მ) განისაზღვროს საპრივატიზაციო ობიექტად.

**1.2.** ქალაქ სამტრედიაში, ლაშა თევზაძის ქუჩაზე მდებარე არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.48.062) არსებული ნაგებობის (ყოფილი მაღაზია, ფართი - 153,16 კვ.მ) პრივატიზება განხორციელდეს პირობიანი ელექტრონული აუქციონის ფორმით.

**1.3.** პირობად განისაზღვროს, რომ:

**1.3.1.** ნაგებობის დემონტაჟი და როგორც ნაგებობის, ასევე მისგან წარმოშობილი ნარჩენების გატანა უნდა განახორციელოს აუქციონში გამარჯვებულმა პირმა.

**1.3.2.** ნაგებობის დემონტაჟის და როგორც ნაგებობის, ასევე მისგან წარმოშობილი ნარჩენების გატანის ხარჯები გაწეულ უნდა იქნეს აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ.

**1.3.3.** ნაგებობის დემონტაჟის და როგორც ნაგებობის, ასევე მისგან წარმომობილი ნარჩენების გატანის ვადად განისაზღვროს 1 (ერთი) თვე. აღნიშნული 1 (ერთი) თვიანი ვადა აითვალოს აუქციონში გამარჯვებულ პირთან ხელშეკრულების დადებიდან.

**1.4.** ქალაქ სამტრედიაში, ლაშა თევზაძის ქუჩაზე მდებარე არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.48.062) არსებული ნაგებობის (ყოფილი მაღაზია, ფართი - 153,16 კვ.მ) საწყის საპრივატიზებო საფასურად განისაზღვროს 750 (შვიდასორმოცდაათი) ლარი.

**1.5.** ქალაქ სამტრედიაში, ლაშა თევზაძის ქუჩაზე მდებარე არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.48.062) არსებული ნაგებობის (ყოფილი მაღაზია, ფართი - 153,16 კვ.მ) ბიჯი განისაზღვროს მისი საწყისი საპრივატიზებო საფასურის 10%–ს ოდენობით.

**1.6.** ქალაქ სამტრედიაში, ლაშა თევზაძის ქუჩაზე მდებარე არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.48.062) არსებული ნაგებობის (ყოფილი მაღაზია, ფართი - 153,16 კვ.მ) ელექტრონულ აუქციონზე საგარანტიო თანხა განისაზღვროს მისი საწყისი საპრივატიზებო საფასურის 20%–ს ოდენობით.

**1.7.** ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა პირმა ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში უნდა გადაიხადოს მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრული ღირებულება.

**2.** ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

ვალერიანე ფოცხვერია

სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებელი